



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ბუაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ეკატერინე წიფურია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,

დემეტრე ნარსია -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

მაია მენაბდე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ია გაგნიძე -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მეგი ტალახაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ირაკლი ქობალაია -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ლილი კაცაძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია კოხომე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

დავით კიკაბიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ლია ნეფარიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236087649
---	-----------

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი
იურიდიული მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი
საფოსტო ინდექსი	3319
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	-
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tsilkani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(577) 64 09 30

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MMMES 1 23 0000653971, 07/06/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 3-4 ივლისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი
2	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი
3	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 3-4 ივლისს, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მაია ბუაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე) (ადგილზე ვიზიტი)
2. ეკატერინე წიფურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, (ადგილზე ვიზიტი)
3. დემეტრე ნარსია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, (ადგილზე ვიზიტი)
4. მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი ;
5. ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი ;
6. მეგი ტალახაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
7. ირაკლი ქობალაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
8. ლილი კაცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
9. ნათია კობხიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
10. დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი ;
11. ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა), რომელიც შეისწავლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ: 3 ივლისს- teams-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ხოლო 4 ივლისს- teams-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☐ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ <u>ნაწილობრივ შეესაბამება</u> ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მზარდაჭერა	☐ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 450	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	☒	სკოლა არის ერთცვლიანი
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება	
	☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი
--------------	--------------------	---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



	(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)	

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	სკოლამ 07.09.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა .
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლამ 3.07.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება.

¹ გარდ. მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	სკოლამ 07.09.2023წ.-30.10.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს პედაგოგების მიერ ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებასა და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ 03.07.2023წ.-31.12.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის წარმოდგენა.
ინდიკატორი 3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლამ 20.09.2023-30.10.2023 პერიოდში უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შემუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	სკოლამ 20.09.2023წ.-30.10.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურების დოკუმენტურად შემუშავება .
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლამ 01.09.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა.
ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ 01.09.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა.
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სკოლამ 01.09.2023წ.-30.11.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



	(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
<i>სტანდარტი N4</i>	<i>მოსწავლეთა მხარდაჭერა</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
ინდიკატორი 4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სკოლამ 20.09.2023წ.-30.10.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა მოსწავლეთათვის.

<i>სტანდარტი N2</i>	<i>სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლამ 20.09.2023წ.-30.10.2023წ. პერიოდში უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



--	--	--

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სასურველია, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდეს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
ინდიკატორი 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ესთეტიკური აღზრდა(დაწყებითი საფეხური)	.სახვითი ხელფანების III, IV და VI კლასების კურიკულუმებში თმატური ბლოგების ფრულებში დამუშავდეს სტანდარტული გათვალისწინებული ყველ სამიწე ცნება.
ინდიკატორი 2.1.2.1	1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სახელმწიფო ენა(დაწყებითი,საბაზო,საშუალო საფეხური)	კომპლექსური დავალებების გასწვრივ მიეთითოს არა მხოლოდ ის ცნებები, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალებაში, არამედ ქვეცნებებიც.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სპორტი(დაწყებითი საფეხური)	დაწყებით საფეხურზე მოხდეს თემების გამრავალფეროვნება სპორტის გუნდური სახეობების მიმართულებით, რათა მოსწავლემ მეტი ტექნიკური ელემენტები შეისწავლოს, რაც მოსწავლეზე მეტად იქნება ორიენტირებული და მის განვითარებას შეუწყობს ხელს.



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ესთეტიკური აღზრდა(საბაზო)	მუსიკაში საბაზო საფეხურის VII, VIII და IX კლასებში შერჩეულ კომპლექსურ დვალბების ფრგლებში, სადცარ არის მიითთებულ, მიეთთოს სამიწე ცნება ბგერა და შესაბამისი ქვეცნებები, ასევე VII და IX კლასებში ჩასწორდეს საკითხებთან მიმარუბით შინაარსობრივად შეუტაბამო კომპლექსური დვალბები და მიეთთოს შესაბამისი საკითხის ველში.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); ესთეტიკური აღზრდა(დაწყებითი)	გაიწეროს მუსიკისა და სახვით ხელგნების I და II კლსების კურიკულუმები; ასევე სახვით ხელგნების III, IV და VI კლსების კურიკულუმებში თმატური ბლგების ფრგლებში დმუწავდეს სტნდრტით გათვალსწინებულ ყველ სამიწე ცნება.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); ესთეტიკური აღზრდა(საბაზო)	მუსიკაში საბაზო საფეხურის VII, VIII და IX კლსებში შერჩეულ კომპლექსურ დვალბების ფრგლებში, ყველგან მიეთთოს სამიწე ცნება ბგერა და შესაბამისი ქვეცნებები, ასევე VII და IX კლსებში ჩასწორდეს საკითხებთან მიმარუბით შინაარსობრივად შეუტაბამო კომპლექსური დვალბები და მიეთთოს შესაბამისი საკითხის ველში.



ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს; სახელმწიფო ენა(საბაზო)	სასურველია, ცნებების მიხედვით შეიქმნას განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა .
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; სპორტი(დაწყებითი)	ვინაიდან ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას ,კარგი იქნება თემების გამრავალფეროვნება, რაც მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობასა და გააქტიურებას კიდევ მეტად შეუწყობს ხელს.
ინდიკატორი 2.2.1.2.	ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; სახელმწიფო ენა(დაწყებითი,საბაზო,საშუალო)	2023-2024 სასწავლო წლის მატრიცებში მასწავლებლებმა შეიტანონ აქტივობები, რომლებშიც მკაფიოდ გამოჩნდება ცოდნის აგების კონსტრუქტივისტული მეთოდი.
ინდიკატორი 2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; სპორტი(დაწყებითი)	სასურველია,კათედრაზე თანამშრომლობით გარემოში შემუშავდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი თემების შესაბამისად .



VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმა, რომელსაც სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისიაა: მოსწავლეთა უნარების გამოვლენა და განვითარება; კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, კომუნიკაბელური,კანონმორჩილი, ეროვნული ინტერესების დამცველი მოზარდის ფორმირება, რათა შეძლონ სამყარო გახადონ უკეთესი. სკოლაში ვიზიტისას სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დოკუმენტების- მისია,ხედვა,ღირებულებები,სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკითხება კონცეფცია ,რომლის მიხედვითაც სკოლა ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან გეგმავს სკოლის ახალი მისიის ,ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და გეგმავს შესაბამის აქტივობებს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მისიის შესაბამისად შემუშავებულია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები: საინფორმაციო შეხვედრებზე განხორციელდა სკოლის შინაგანაწესის გაცნობა და განთავსდა სკოლის ფოიეში; ჩატარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები; სკოლაში მოქმედებს წესებისა და ნორმების სისტემა, რაც ასახულია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში.

ინდიკატორი1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია შემუშავებულია სკოლის დირექციის მიერ. სკოლაში ვიზიტისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა,რომ მომავალი სასწავლო წლის სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოების

ჩართულობით; დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდის შემადგენლობა.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია შემუშავებულია დირექციის მიერ. მისია იკითხება სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წარედგინება სასკოლო საზოგადოების ნაწილს. სკოლა გეგმავს ისეთი მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების მექანიზმები.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი; არ არის განთავსებული არც სკოლის ფოიეში, დერეფანში ან საკლასო ოთახებში, არც ონლაინ სივრცეში. სკოლის მისია იკითხება მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. 07.09.2023წ.- 30.11.2023წ. პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 1.1.1.5 მეტწილად შესაბამისია.

6. საჯარო რეესტრიდან 2010 წლის ამონაწერით, სკოლის სახელწოდება, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის წილკნის საჯარო სკოლა, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა(2022-2023წწ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



- სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების-მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგია;
- სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდის შექმნის შესახებ ბრძანება N2-63(03.07.2023წ.)
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია,რომელშიც იკითხება სკოლის საჭიროებების შესწავლისა და დოკუმენტის შემუშავების მექანიზმები, ჩართულობის, გაზიარებისა და საჯაროობის პროცედურები. განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. სკოლას შექმნილი ჰყავს სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდი,რომლის ორგანიზებით გეგმავს სკოლის საჭიროებების შესწავლას.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლას შექმნილი ჰყავს სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდი,რომლის ორგანიზებითაც გეგმავს სკოლის საჭიროებების შესწავლას და სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნას,რომელიც იქნება შვიდწლიანი, ციკლური და დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. 3.07.2023-30.11.2023. პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავებას.

ინდიკატორი 1.2.1.2. მეტწილად შესაბამისია.

3. სკოლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ სამოქმედო გეგმის შედგენისას გამოყენებულია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები და შეფასებები. გეგმის მონიტორინგისა და შეფასების

სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის ფორმით და ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადა, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება დასახულ მიზნებსა და ამოცანებს, შესრულების ინდიკატორები გაზომვადია და ვადებიც რეალისტურადაა მითითებული.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო-გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების-მისია ,ხედვა,ღირებულებები,სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგია;
- სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდის შექმნის შესახებ ბრძანება N2-63(03.07.2023წ.)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;



2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულ სკოლის დებულებაში წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რომლებიც მოიაზრებს დაკვირვების, შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მექანიზმებს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და პროცედურები.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სკოლა გეგმავს ისეთი მექანიზმების დანერგვას, რომ ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდეს ყველა სტრუქტურული ერთეული და დასაქმებული, თავისი გაწერილი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად. მაგალითად, იგეგმება, რომ საქმისწარმოების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში მოამზადოს

საქმისმწარმოებელმა, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელმა პირმა ყოველკვირეული მონიტორინგის საფუძველზე წარმოადგინოს ანგარიში არსებული მდგომარეობის შესახებ, ინკლუზიური განათლების შესახებ- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფმა და სხვ.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ანგარიშის საჯაროობას უზრუნველყოფს ის, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს. ასევე დირექცია გეგმავს ღია კარის დღეების მოწყობას და დამრიგებლების ჩართულობით მშობლებისთვის ინფორმაციის გაცნობას.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით გეგმავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გააანალიზოს SWOT ანალიზის მეშვეობით, რასაც გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო-გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების-მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგია;
- სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდის შექმნის შესახებ ბრძანება N2-63(03.07.2023წ.)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სარგებლობს სკოლის დებულებით, რომელშიც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების ფუნქცია- მოვალეობები. ასევე ადგილზე ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა დასაქმებული პირების შრომითი ხელშეკრულები. გასაუბრებიდან დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შინაგანაწესით, დებულებითა და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით რეგულირდება სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები სკოლაში. სკოლის დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომელთა ფუნქცია- მოვალეობები გადანაწილებულია მათი კომპეტენციების ფარგლებში. სკოლამ ადგილზე წარმოადგინა საშტატო ნუსხა, რომელშიც წარმოდგენილია დასაქმებული პირების თანამდებობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ შემუშავებულ 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია ინფორმაცია პასუხისმგებელი პირების/ერთეულების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დებულება

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

საშტატო ნუსხა

სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით. სკოლას შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი. შინაგანაწესში გაწერილია - ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სკოლამ გეგმავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნას.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დებულება, რომლითაც დასაქმებულს აქვს ინფორმაცია, თუ რა კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს ეს სამუშაო, რა საქმიანობას მოითხოვს და რა პირობებში. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. სკოლასთან გასაუბრებისას სკოლის ხელმძღვანელობამ წარმოადგინა ხელშეკრულებები სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული ადამიანების, სადაც გაწერილია თანამდებობრივად თუ რა მოთხოვნები აქვს დამსაქმებელს და ასევე შინაგანაწესითაც რეგულირდება.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული არ აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესი, თუმცა სკოლის დირექციასთან საუბრისას კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია



საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილ საკონკურსო მასალებით საკონკურსო ოქმებით დასტურდება, რომ კანდიდტის შერჩევისას სკოლს იცავს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და საჯრობის პრინციპები. დინტერესების შემთხვევაში სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები.

სკოლს ვაკანტური საათების დასაკავებლად კონკურსს აცხადებს მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე. საკონკურსო მასალების გაცნობით (საკონკურსო სხდომის ოქმებით) დგინდება, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭვირვალეა. სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ რამდენიმე პედაგოგს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობისა და სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. ინტერვიუსას სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს აღნიშნული ხარვეზის სექტემბრისათვის აღმოფხვრის მზაობა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. 07.09.2023-30.10.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს წარმოადგინოს პედაგოგების ცნობები ნასამართლობისა და სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად შესაბამისია.

4. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლს ხელმძღვანელს განმარტებით სკოლს ხელს უწყობს თანამშრომლობით და გუბერნი მუშაობის პრინციპების დანერგვას, პერსონალს შორის მოხმენის, პატივისცემის, კომუნიკაციის კულტურის ჩამოყალიბებას სკოლაში განხორციელებული სასკოლო პროექტებითა და

სხვა სახის ღონისძიებებით. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში; ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტს.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლს შემუშავებული აქვს თანამშრომელთა წახალსების მექანიზმები სკოლს შინაგანაწესის მიხედვით მაღლობის გამოცხადება, სიგელები, ფულად წახალსება და სხვ. ასევე დრეკციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას გამოკვეთა, რომ სკოლს აქვს წარმატების გაზიარების მექანიზმი (იყენებენ facebook გვერდს), მაღლობის სიგელებს გადასცემს ადრესატებს.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებით;

საშტატო განრიგი;

პირადი საქმეები; შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, კათედრების მოვალეობები პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელშიც გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების ფორმები, მასწავლებლის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები და ა.შ. ინტერვიუსას აღინიშნა, რომ დებულება ამოქმედდება ახალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით აწარმოოს მის მიერ შესრულებული მუშაობის შეფასება, გამოკვეთოს გასაუმჯობესებელი მხარეები და დაგეგმოს პერსონალის მიზნობრივი განვითარების

პროცესი. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება. დირექტორის განმარტებით, ერთობლივი მუშაობა სამიზნე საკითხებზე, ურთიერთსწავლება სკოლის ყველა პერსონალის განვითარებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს შექმნას პერსონალის კარიერულ ზრდაზე ორიენტირებული ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს პედაგოგების წინსვლასა და განვითარებას გამოცდილების გაზიარებით, ე.წ. „კრიტიკული მეგობრით“, ურთიერთდასწრებით. ასევე დამსაქმებელს ხელშეკრულებით აქვს განსაზღვრული, რომ დასაქმებულმა უნდა იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, სკოლა უწყობს ხელს პედაგოგებს დარეგისტრირდნენ მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებულ ტრენინგებზე.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლა აცნობს ახალ კადრებს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რათა სწრაფად მოხდეს სკოლის კულტურასთან შეგუების პროცესი; ასევე სკოლა აფორმებს დასაქმებულებთან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია (მუხლი 11.) სკოლის შინაგანაწესის გაცნობა; დასტურდება დასაქმებულის ხელმოწერით.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის დირექტორთან ჩატარებულ ინტერვიუ შედეგებით დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით. პერსონალის ინიციატივები წახალისებულია სიტყვიერად და ფინანსურად.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

სამოქმედო გეგმა

სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის მართვისთვის, მისიის გათვალისწინებით შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას. ადმინისტრირების ნაწილი მოიცავს: საგანმანათლებლო პრინციპებს, საგნობრივი პროგრამების მეთოდოლოგიურ ორიენტირებს, არაფორმალური განათლების, ინკლუზიური განათლების, მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკას, რესურსებს და სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და სწავლა-სწავლები ხარისხის მართვის საკითხებს. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სკოლაში მიმდინარეობს სკოლის მისიის გადახედვა, ხედვისა და ღირებულებების შექმნა, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია წილკნის საჯარო სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი ჯგუფი და ამავდროულად შემუშავდა ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ამოქმედდება ახალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში იდენტიფიცირებულია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და ეს ასახულია სამართლებრივ დოკუმენტებში. სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, ასევე მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის დებულებაში. სკოლის დებულებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). სკოლის შინაგანაწესიც ასევე ეხება მმართველობით პროცესებს, საკადრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხები, როგორებიცაა: შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესი და პირობები, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, მასწავლებლის/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში მოქმედებს პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილებების როგორც გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, რომელიც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია თანამშრომლების და მოსწავლეების დისციპლინური პასუხისმგებლობები და საჩივრის მიმართვის პროცედურა. ამასთან, სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, რომლითაც უზრუნველყოფილია თანამშრომლების, მოსწავლეების მშობლებისა ან კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა ან საჩივრების განხილვის ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;

ბრძანება სტრუქტურულ განვითარების შემსწავლელ ჯგუფის შესახებ;

ბრძანება ხარისხის ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი;
მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებებად გამოყენებული აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები და შეხვედრები. სკოლა აქტიურად სარგებლობს office 365 - Outlook, ელექტრონული ჟურნალით, Teams-ითა და სოციალური გვერდი Facebook-ით. სკოლის დირექტორის განმარტებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების ყველაზე აპრობირებული მეთოდია მიმოწერა სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. დამრიგებელს დებულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში შექმნილია სასკოლო საზოგადოების წევრების შემადგენლობით შემდეგი მართვის კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის მასწავლებლები და მშობლები, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის



წარმომადგენელი (ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს),
დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

39

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორია შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის ეზოს ტერიტორია, სკოლას ჰყავს კარისკაცი, რომელიც უზრუნველყოფს ვიზიტორთა კონტროლს. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, დამრიგებლის მეშვეობით ხდება მშობლის ინფორმირება და გაცდენის მიზეზის დადგენა. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. სკოლაში ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, მათ შორის ცეცხლმაქრი, სართულებზე წარმოდგენილია საევაკუაციო გეგმა. სკოლას აქვს საევაკუაციო გასასვლელი; სკოლის დირექტორმა ინტერვიუსას განაცხადა, რომ სკოლაში დაცულია ფიზიკური უსაფრთხოების ნორმები. საგანგებო სიტუაციებში ხდება სწრაფი რეაგირება და პირველადი დახმარების აღმოჩენა.

ადგილზე დათვალიერებით სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 11 ერთეული ვიდეო კამერა. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა შენობის მდგრადობის დასკვნა. სკოლას ჰყავს ექიმი, აქვს ექიმის კაბინეტი, რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/5/01-23/5

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამის მოთხოვნებს. სკოლის ექიმი აწარმოებს ავადობის შემთხვევების რეგისტრაციას ჟურნალში, კაბინეტი აღჭურვილია დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. 03.07.2023-31.12.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს წარმოადგინოს შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად შესაბამისია.

2. სკოლას არ ჰყავს განსაზღვრული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური, კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი; სკოლას აქვს პედაგოგების მორიგეობის განრიგი (სკოლის დერეფნებში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული). დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციაა სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციის შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. სკოლის შენობაში მოწყობილია სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სკოლის ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას: ჰყავს ფსიქოლოგი; სკოლის ხელმძღვანელის თქმით, დამრიგებლები ატარებენ კლასის საათს, რომლებზეც განხილული თემატიკა მოიცავს სკოლაში ემოციურად უსაფრთხო გარემოს ფორმირების საკითხებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამას აქვს ცხრილის ფორმა, რომელშიც გაწერილია წლის განმავლობაში გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი. სკოლის ინფრასტრუქტურა, დიდი, ნათელი საკლასო ოთახები, ეზო და დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის ექიმი პასუხისმგებელია სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, რომელიც დასტურდება ექიმის შრომითი ხელშეკრულებით. სკოლა არის სამსართულიანი და ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილი გოგონებისთვის/ვაჟებისთვის და ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები, თხევადი საპონი. სკოლის სამტატო ნუსხით სკოლას ემსახურება 3 დამლაგებელი.

საყოფაცხოვრებო საწმენდი საშუალებები, თხევადი საპონი, სადეზინფექციო საშუალებები, ინახება ჩაკეტილ ოთახში.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა უზრუნველყოფს როგორც სკოლის პერსონალის, ისე მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. 20.09.2023-30.10.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს შეიმუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

ინდიკატორი 3.4.1.5. მეტწილად შესაბამისია.

6. დირექტორის განცხადებით, სკოლაში უზრუნველყოფილია ინფორმაციის დაცულობა, არ ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა პირთან გაზიარება; თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური წვდომა ელექტრონულ ჟურნალზე; საგნის პედაგოგები თუ დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას თუ ქცევასთან არსებულ პრობლემებს მოსწავლის მშობლებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია; მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს.

სკოლას არ გააჩნია ინფორმაციის დაცვის მექანიზმები: სკოლას არ ჰყავს გამოყოფილი ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და არ აქვს გაწერილი ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, რომლებშიც მითითებული იქნება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი; სკოლას არ აქვს შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. 20.09.2023-30.10.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურების შემუშავებას დოკუმენტურად.

ინდიკატორი 3.4.1.6. მეტწილად შესაბამისია.

7. დირექტორის განცხადებით, სკოლა გეგმავს პერიოდულად შეაფასოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობა. მანდატურების სამსახურის დახმარებით ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას და ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს სკოლის თვითმმართველობის დახმარებით განახორციელოს პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის ძალადობისა და ბულინგის მართვას.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

.....



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პედგოგთა მორიგეობის განრიგი;

დმღებლის ხელშეკრულება;

დრჯის ხელშეკრულება;

ექიმის ხელშეკრულება;

სკოლის ფსიქოლოგის ხელშეკრულება;

მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტინგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურული რესურსი, რომ განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სკოლა არის 3- სართულიანი და მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წილკანში.

უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია N 72.02.26.179

მიწის დაზუსტებული ფართობია: 25000 კვ. მ

შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი: 4450 კვ. მ

სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან უვადოდ.

სკოლის შენობა ერთი სამსართულიანი კორპუსისგან შედგება: პირველ სართულზე განთავსებულია დირექტორის ოთახი, კანცელარია, ბუღალტერია, არქივი, კვების ობიექტი, მანდატურის სამსახურის კაბინეტი, რესურს ოთახი, ექიმის ოთახი, სააქტო დარბაზი, სველი წერტილები გოგოებისათვის/ვაჟებისათვის და ადაპტირებული სველი წერტილი; მეორე სართულზე

45

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განთავსებულია ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები საშხაპით(საშხაპე არ ფუნქციონირებს)ინსტრუქტორის ოთახი, საკლასო ოთახები, ფიზიკის კაბინეტი, ბიოლოგიის კაბინეტი, ქიმიის კაბინეტი და საკლასო ოთახები; მესამე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზის ნაწილი, სადაც განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარი, სველი წერტილები საშხაპეებით(საშხაპე არცერთი არ ფუნქციონირებს), ინსტრუქტორის ოთახი. სამივე სართულზე არის ლიფტი, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება. მოსწავლეები გადაადგილდებიან კიბეების საშუალებით. სკოლის ინვენტარი აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 (09/08/2011) ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე. სკოლის ეზოში არის განთავსებული ღია სპორტული მოედანი ,რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლა არის 2015 წელს აშენებული,ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციულ სივრცეები (ფრეზნი, დღე ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. skolaSi arsebuli materialuri resursebi xelmisawvdomia saskolo sazogadoebis yvela wevrisTvis. skolaSi funqcionirebs biblioTeka, samkiTxvelo sivrciT, resursoTaxi, kompiuteruli teqnologiebisTvis gankuTvniloTaxi, Ria da daxuruli sportuli moednebi, ღია მოედანი საჭიროებს რეაბილიტაციას, saaqto darbazi. skolaSi arsebobs sivrcე moswavleTa praqtikuli aqtivobebisTvis.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3. skolaSi Seqmnilia პირობები inkluzიური განათლების განსახორციელებლად: სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესურს ოთახი, ლფტი, პანდუსი, ყველ სართულზე არის განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილები (რომლებიც აკმაყოფილებს

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“-27-ე მუხლის მოთხოვნებს).

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია

4. skolis infrastruktura xels uwyobs socio-kultural sivrced Camoyalibebas. ს კოლის keTilmowyobili sportული darbazi, დღეოო saaqto darbazi, დერეფნები, ღია სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია

5. swavla swavlebis procesSi skola sagnobrivi kurikulumbis gansaxorcieleblad iyenebs rogorc sagnobriv saxelmZRvaneloebs, aseve damatebiT sxva saganmanaTleblo resursebs: kompiuterebi, proeqtoebi, saWadrako dafa, sssm moswavlebis saWiroebidan gamomdinare resursebi da sxva. რომლებიც ადგილზე დოგალერების დროსაც იქნა წარმოადგენილ. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია პრინტერი, პროექტორი და ლეპტოპები. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელებისთვის სკოლას აქვს ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის კაბინეტები. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია წიგნის მოვლის წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია და გატარებულია ჟურნალში წესების დაცვით.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საჯარო რეესტრის ამონაწერი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შენობის აზომვითი ნახაზი;

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;

ბიბლიოთეკის გამოყენების წესი;

კომპიუტერული ლაბორატორიის განრიგი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო დროს. ასევე საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს საშუალება აქვთ შაბათ -კვირასაც ისარგებლონ მათთვის გამოყოფილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო სივრცით, პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ. სკოლაში არის 40 ნოუტბუქი, 6 ბუკი, 4 პროექტორი და 6 პრინტერი. მუშა მდგომარეობაშია: 36 ნოუტბუქი, 6 ცალი ბუკი, 2 პროექტორი და 4 პრინტერი. სკოლა სარგებლობს უსადენო ინტერნეტით WIFI.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ მასწავლებელსა და მოსწავლეს არ აქვს სახლში ელექტრონული კომუნიკაციისთვის რაიმე სახის ტექნიკა. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით დადგენილია სასკოლო სივრცეში საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში შემუშავებულია განრიგი და სარგებლობის წესი.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. skolaSi moqmedebs kanonmdblobis Sesabamisi saqmiswarmoebis wesi. სკოლში ვიზიტსას წარმოადგენს ბრძანება საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ და საქმისწარმოების ინსტრუქცია. სკოლში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს შრომით ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას და დენილ საქმისწარმოების ინსტრუქციის მიხედვით

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას, კერძოდ: e-flow, Office365, eSchool. მოსწავლეთა

მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვისა და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ხდება ინფორმაციებისა და დოკუმენტი მიიღება. ვიზიტისას მოხდა დათვალიერება აღნიშნული ელექტრონული სისტემების.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლ სრულყოფილ დასახავს ინფორმაციას ზოგად განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, eSchool - ში, კანონმდებლობის შესაბამისად რეგულაციულ ვიზიტსას და დასტურდ ვიზუალურ დათვალიერებისას.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის ვიზუალური დოკუმენტით- eflow, eSchool

საქმისწარმოების ინსტრუქცია

საქმისმწარმოებლის შრომით ხელშეკრულება

მართვის საინფორმაციო სისტემაში ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირის ბრძანება

ბრძანება სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელწილნის საჯარო სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროექტულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირის განსაზღვრის შესახებ

საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება

ბრძანება საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქმისწარმოების ინსტრუქცია

სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლს არაქვს ოფიციალური ვებ გვერდი. დირექტორის განცხადებით სკოლ მშობლებთან და საზოგადოებასთან საკომუნიკაციო დიფენსებს facebook გვერდზე, მესენჯერს, თმისის პლტფორმასა და ელექტრონულ ჟურნალზე. სკოლს დირექტორის N2-62 ბრძანებით დმტვიცებულ აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 01.09.2023-30.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას.

ინდიკატორი 3.6.3.1. მეტწილად შესაბამისია.

2. სკოლს არაქვს ვებ-გვერდი, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს facebook ჯგუფებს, თმისის პლტფორმას და ასევე საინფორმაციო დფს, მშობელთა კრებებს. სკოლს წარმოადგენილ აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლს ერთერთ პრიორიტეტ დებებ გვერდს შექმნა აქვს განსაზღვრული.

ინდიკატორი 3.6.3.2. დკმაყოფილებულია

3. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, დაწესებულება სხვადასხვა არხიდან მიღებულ უწყავშირს, მათ შორის სკოლს facebook გვერდზე, თმისის პლტფორმაზე, ელექტრონულ ჟურნალში მოცემულ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუფლებლად სკოლა გეგმავს ელექტრონული რეიტინგული გამოკითხვების, მოწონებების, გაზიარების ან სხვა აქტივობების სტატისტიკის ანალიზის პრაქტიკის დანერგვას.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლს არაქვს ვებ გვერდი. დირექტორის განცხადებით დგეგმილა ვებ გვერდს შექმნა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 01.09.2023-30.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას.



ინდიკატორი 3.6.3.4. მეტწილდშესაბამისია.

5. სკოლს არაქვს ვებ გვერდი. ღრუქტორის განცხადებითიგეგმება ვებ გვერდს შექმნა, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლს შესახებ, მაგ.: სკოლის სტრუქტურა, მისია, სასკოლო პროექტი, ფინანსური ანგარიში, სასწავლო გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული გეგმა, შინაგანაწესი, გალერეა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, და ა.შ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 01.09.2023-30.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლის შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.5. მეტწილდშესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;

facebook ჯგუფები,

თიმის ჯგუფები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის განმარტებით, სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად.

ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ისე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. ბიუჯეტის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. თითოეული სტრუქტურა, სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას დირექციას საჭირო შესასყიდი შესახებ.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დირექტორისა და ბუღალტრის განმარტებით, სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის დირექცია და სტრუქტურული ერთეულები ბუღალტერთან ერთად აანალიზებენ ბიუჯეტს და მომზადებული ბიუჯეტის გეგმის პროექტს განსახილველად წარუდგენენ სამეურვეო საბჭოს წევრებს. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის

ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
ბრძანება შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
ბრძანება შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ;
შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია



1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება საშუალებაა სასკოლო საზოგადოებისათვის უფლებების ცოდნისა და დაცვის. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები თავისი მკაფიო, ნათელი ფორმულირებებით ითვალისწინებს ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გასაჩივრების უფლების გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებების, საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის რწმენის თავისუფლების უპირატესობას.

ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლისა და მშობლის მონაწილეობით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე, ღია კარის შეხვედრებზე სკოლა უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და მოვალეობების, შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისებისა და დისციპლინური დევნის რეგულაციების გაცნობას, საკლასო წესების შემუშავებას. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს არ ყოფილა დისციპლინური წარმოების ან გასაჩივრების შემთხვევები.

ინდიკატორი 4.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა. ჩარიცხვის ეტაპზე ხდება მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმება. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ყველა ხელშეკრულება არის განახლებული და თარიღდება 2023 წლის 1 მარტით. ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია საშუალო საფეხურის დასრულებამდე პერიოდი.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხელშეკრულებები სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის;
მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
შინაგანაწესი;
მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;



4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი (სკოლის საქმისმწარმოებელი), რომლის ვალდებულებაცაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ) სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ კანონმდებლობისა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის ვადების დაცულია. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, მათ შორის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე, მშობელთა მოთხოვნის შესაბამისად და მუშაობს თვითდაფინანსებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებულია ხელშეკრულებები მშობლებთან.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.



4. სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს, teams-ის პლატფორმას.

დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ. ექსპერტების მიერ ნანახი ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები მშობელთან;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის კონკრეტული მექანიზმები: მშობელთან კონსულტირება, მობილობით გადმოსულ მოსწავლესთან გასაუბრება, კლასში მოსწავლის წარდგენის რიტუალი. კლასის დამრიგებელი მიერ სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლისთვის სკოლის ინფრასტრუქტურის, სკოლის საზოგადოების, შინაგანაწესით განსაზღვრული წესების გაცნობა. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. სკოლა გეგმავს პირველკლასელებისთვის ღონისძიებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. დირექციის წარმომადგენლებთან გამართული ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა პირველკლასელთა ადაპტაციისათვის მიმართავს მათთვის მიმზიდველი რესურსების მომზადებას; დამრიგებლები და მასწავლებლები ხელს უწყობენ შესაძლებლობების წარმოჩენას. ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან; აცნობენ შიდა რეგულაციებს, წესებს, არსებული რესურსებით სარგებლობის წესებს, ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.2.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები სისტემატურად უწევენ მონიტორინგს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. ამ მხრივ ყურადღება ექცევა, ერთი მხრივ, ნაკლებად მოტივირებულ მოსწავლეებს, რომლებიც დამატებით ჩარევას საჭიროებენ, და, მეორე მხრივ, მოსწავლეებს, რომლებსაც სთავაზობენ სტანდარტზევით სასწავლო მასალას.

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია.

4.დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. დაწესებულების მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში. მოსწავლეები სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ერთ-ერთ გზად თვითმმართველობას იყენებენ. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზების მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.1.4.დაკმაყოფილებულია.

5.სკოლაში მიმდინარეობს არაფორმალური განათლების მხარდამჭერი პროგრამა. სასწავლო წლის დასაწყისიდან სკოლაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით ხორციელდება სასკოლო პროექტი,, ვიცხოვროთ ჯანსაღად“. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების შესახებ მსჯელობა და ანალიზი. სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა,რომ სკოლაში ფუნქციონირებს „ისტორიკოსთა კლუბი“, ცეკვის წრე. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები,სასწავლო პროექტები. აქტივობების ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის გვერდზე, სოციალურ ქსელში .

ინდიკატორი 4.2.1.5.დაკმაყოფილებულია.



6. სკოლა გეგმავს კითხვარების საშუალებით მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან მიიღოს უკუკავშირი მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და შეაფასოს . კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე პროცესების გაუმჯობესების მიზნით მოახდინოს სათანადო რეაგირება.ამ მიზნით სკოლას შექმნილი ჰყავს სკოლის საჭიროების შემსწავლელი ჯგუფი.

ინდიკატორი 4.2.1.6.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;

სასკოლო პროექტის ანგარიში;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1.სკოლის სამოქმედო გეგმასა და სადამრიგებლო პროგრამაში არ არის ინტეგრირებული მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის გეგმა. დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა,რომ სკოლა გეგმავს კარიერული დაგეგმვის მიმართულებით მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 20.09.2023-30.10.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას მოსწავლეთათვის.

ინდიკატორი 4.2.2.1 მეტწილად შესაბამისია.

2.დირექტორის განმარტებით, სკოლის პოლიტიკაა ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები და მშობლები შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და აცნობს მათ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში სკოლამ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამის IV კურსის სტუდენტებთან ერთად განახორციელა პროექტი.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს განახორციელოს კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა; სკოლა კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გეგმავს გადახედოს საკუთარ კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას და მისი გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები: საშუალო საფეხურზე პროფესიული განათლების ინტეგრირებაში, პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებთან მემორანდუმების გაფორმებით თანამშრომლობაში.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამის IV კურსის სტუდენტებთან ერთად განხორციელებული პროექტის გეგმა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურებას; შემუშავებული და გაწერილია შესაბამისი მოსწავლეთა ჩართულობისა და მათ ინტერესების გათვალისწინების მექანიზმი. სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განსაზღვრულია ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები. სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, 2 სპეც მასწავლებელი და 1 ასისტენტი. სკოლას აქვს რესურს ოთახი, სამივე სართულზე ადაპტირებული სველი წერტილები. მოსწავლეებს აქვთ ინდივიდუალური გეგმები და პორტფოლიოები.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. ისე ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. ფსიქოლოგისა, სპეც მასწავლებლებისა და ასისტენტის ჩართულობა დგინდება მათი სამოქმედო გეგმებითა და შრომითი ხელშეკრულებებით. სკოლაში შექმნილია ისე ჯგუფის მონიტორინგის ჯგუფი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

ისე ჯგუფის ოქმები;

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი N1.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებებს: ტრანსპორტის სერვისს, ცეკვის წრეს, კვების სერვისს, რომლებიც ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან უფლების მიღების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დამატებითი მომსახურება, არაფორმალური განათლების წრე წარმოადგენს სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილს, რომელიც შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ფასიანი მომსახურების შემთხვევაში (ცეკვის წრე) გაფორმებულია ხელშეკრულებები მშობელს, წრის ხელმძღვანელსა და სკოლის დირექტორს შორის. ხელშეკრულებაში გარკვევით ჩანს, რომ შეთავაზებული სერვისები არის ნებაყოფლობითი. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით შექმნილი კლუბები და ცეკვის წრე ფუნქციონირებენ მოხალისეობის პრინციპით, მოსწავლეები ერთიანდებიან თავიანთი ინტერესისა და სურვილის შესაბამისად.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ითვალისწინებს უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვას, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული. დამატებითი მომსახურების წრე ფუნქციონირებს განრიგის შესაბამისად. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა დასწრების კონტროლს. განსაზღვრულია წრის ხელმძღვანელის ვინაობა, წრის მიზნები, კვირეული დატვირთვა და სხვა.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ცეკ ვ ი ს წრის ხელშეკრულება;

მარეგულირებელს მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების დოკუმენტი
ბუფეტის ხელშეკრულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) დწყებით საფეხურ	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დწყებით საფეხურ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) საბაზო საფეხური	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) საშუალო საფეხური	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

(დაწყებითი საფეხური)

1. სკოლის სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ-კონცეპტუალური ნაწილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის

მოთხოვნებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, დაკვეთის გათვალისწინებით განსაზღვრავს: სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების პროცესი მოიაზრებს საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენას, კოლეგებთან ერთად განხილვას, უკუკავშირს, გასული წლების გამოცდილების გაზიარებასა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვას, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია. საგნის მასწავლებლების, დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის ანგარიშები, მიგნებები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა, საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმი, არაფორმალური განათლების პრევენციული ხედვა და სასწავლო პროცესის ანალიზი სკოლისთვის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შემუშავების საშუალებაა. სასწავლო გეგმაში გაწერილია სწავლა-სწავლების დაწყებითი საფეხურის ამოცანები. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტზე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა სკოლის კურიკულუმის შექმნაში. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების გააქტიურების მეტად ხელშეწყობას; მასწავლებლების მიერ წინა სასწავლო წლის შედეგების გაანალიზებისას დაფიქსირებული გამოწვევების, მშობელთა კრებებზე გამოკვეთილი საჭიროებების განხილვასა და პედაგოგიური საზოგადოების მიერ გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი წარედგინება შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაციის გაზიარებისათვის სკოლა იყენებს პირისპირ შეხვედრებსა (სადამრიგებლო საათები, მშობლებთან შეხვედრები) და ელექტრონულ საშუალებებს (Microsoft 365, Mail, Teams, Gmail, Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი).

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- ბრძანება N2-68, მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- პედსაბჭოს ოქმი ;
- მშობელთა კრების ოქმი;

- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

(საბაზო საფეხური)

1. სკოლის სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ-კონცეპტუალური ნაწილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, დაკვეთის გათვალისწინებით განსაზღვრავს: სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების პროცესი მოიაზრებს საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენას, კოლეგებთან ერთად განხილვას, უკუკავშირს, გასული წლების გამოცდილების გაზიარებასა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვას, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია. საგნის მასწავლებლების, დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის ანგარიშები, მიგნებები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა, საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმი, არაფორმალური განათლების პრევენციული ხედვა და სასწავლო პროცესის ანალიზი სკოლისთვის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შემუშავების საშუალებაა. სასწავლო გეგმაში გაწერილია სწავლა-სწავლების საბაზო საფეხურის ამოცანები. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტზე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა სკოლის კურიკულუმის შექმნაში. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების გააქტიურების მეტად ხელშეწყობას; მასწავლებლების მიერ წინა

სასწავლო წლის შედეგების გაანალიზებისას დაფიქსირებული გამოწვევების, მშობელთა კრებებზე გამოკვეთილი საჭიროებების განხილვასა და პედაგოგიური საზოგადოების მიერ გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი წარედგინება შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაციის გაზიარებისათვის სკოლა იყენებს პირისპირ შეხვედრებსა(სადამრიგებლო საათები,მშობლებთან შეხვედრები) და ელექტრონულ საშუალებებს(Microsoft 365, Mail, Teams, Gmail , Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი)

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- ბრძანება N2-68, მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- პედსაბჭოს ოქმი ;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

(საშუალო საფეხური)

1.სკოლის სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ-კონცეპტუალური ნაწილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, დაკვეთის გათვალისწინებით განსაზღვრავს: სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი მოიაზრებს საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენას, კოლეგებთან ერთად განხილვას, უკუკავშირს, გასული წლების გამოცდილების გაზიარებასა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვას, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია. საგნის მასწავლებლების, დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის ანგარიშები, მიგნებები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა, საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმი, არაფორმალური განათლების პრევენციული ხედვა და სასწავლო პროცესის ანალიზი სკოლისთვის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შემუშავების საშუალებაა. სასწავლო გეგმაში გაწერილია სწავლა-სწავლების საშუალო საფეხურის ამოცანები. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტზე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა სკოლის კურიკულუმის შექმნაში. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების გააქტიურების მეტად ხელშეწყობას; მასწავლებლების მიერ წინა სასწავლო წლის შედეგების გაანალიზებისას დაფიქსირებული გამოწვევების, მშობელთა კრებებზე გამოკვეთილი საჭიროებების განხილვასა და პედაგოგიური საზოგადოების მიერ გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი წარედგინება შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის



ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაციის გაზიარებისათვის სკოლა იყენებს პირისპირ შეხვედრებსა(სადამრიგებლო საათები,მშობლებთან შეხვედრები) და ელექტრონულ საშუალებებს(Microsoft 365, Mail, Teams, Gmail , Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი)

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- ბრძანება N2-68, მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- პედსაბჭოს ოქმი ;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხური:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ძირითადად სწორად არის შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით; ასევე რიგ შემთხვევაში არის ასახული კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. იგეგმება რესურსების ჩამონათვალის დაზუსტება სასწავლო წლის დაწყებამდე.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1. საზოგადოებრივი მეცნიერებები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით შემუშავებული საგნობრივი, მე და საზოგადოებისა (მე-3 და მე-4 კლასების) და ჩვენი საქართველოს (მე-5; მე-6 კლასების) კურიკულუმის ჩარჩოები. კურიკულუმის ჩარჩოები ასახავს სავალდებულო თემებსა და შერჩეულ საკითხებს, რომელთა მიხედვითაც აპირებენ მასწავლებლები საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების დამუშავებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ეცნობიან მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ჰქონდათ კომპლექსური დავალებების დანერგვის მცდელობა.

მე და საზოგადოების მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია თითო კომპლექსური დავალება, რომლის განხორციელებასაც იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს. (“ბუკლეტის შექმნა ილუსტრაციებით, ცხოველების/ფრინველების/ოთახის მცენარეების მოვლა-პატრონობის შესახებ”; “ამბის გახსენება/შეთხზვა ჩვენი წინაპრების გმირობის შესახებ”). ინტერვიუს დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიკვეთა, რომ პედაგოგები მუშაობენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე. მე-5, მე-6 კლასებისათვის წარმოადგინეს ჩვენი საქართველოს კურიკულუმის ჩარჩოები, მათი აგების პრინციპი მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოს მსგავსია. მე-5 კლასში წარმოდგენილი აქვთ სამი კომპლექსური დავალება, ხოლო მე-6 კლასში, როგორც ინტერვიუს დროს ისაუბრეს, სასწავლო პროცესის დაწყებამდე შეარჩევენ.

კათედრის წარმომადგენლები სწავლა-სწავლების მთავარ სამიზნე ორიენტირებს გამოკვეთენ, თუმცა გასაუბრებისას დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაცია-კურიკულუმები არ იყო წარმოდგენილი სრული სახით, კერძოდ, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში სავალდებულო თემებში არ ჩანდა, მუშავდება თუ არა სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება, აღნიშნულის შესახებ გასაუბრებისას მიეცათ რჩევა. მე-5 კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი სავალდებულო თემა „სახელმწიფო- ჩვენი საქართველო“. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ის მხარეები, რომლებზეც მასწავლებლები კურიკულუმის დახვეწის პროცესში იმუშავებენ, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის საგნობრივი კურიკულუმები დახვეწილი შინაარსით იქნება დამტკიცებული.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.უცხოური ენები:

უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები. დაწყებითი საფეხურის ინგლისური (I-VI) და გერმანული და რუსული ენების (V-VI) კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე, შედეგები განსაზღვრულია მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით. 2022-2023 სასწავლო წელს კათედრას დაგეგმილი აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელება. საგნობრივი კურიკულუმები დამუშავების პროცესშია, თუმცა მათში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, დაგეგმილია რამდენიმე თემა, საიდანაც ჩანს, რომ სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს აქვთ საკმარისი მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებსა და პრობლემების გადაჭრის გზებს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.ესთეტიკური აღზრდა:

სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვით ხელოვნებისა და მუსიკის დწყებით საფეხურის კურიკულუმში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დვალბის პირობა) და გრძელადანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმითშერჩეულ კომპლექსურების სრულ ნიმუშიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების დმატებით აქტივობების რესურსებიდან გამომდნარე(მოწოდებულია ხელოვნებაში), კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, თუმცა სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში არარის გაწერილი I და II კლსების კურიკულუმები, ასევე სახვით ხელოვნების დწყებით საფეხურის III,IV და VI კლსებში თმატური ბლგების ფრგლებში არ მუშავდება სტანდრტით გათალსწინებულ ყველ სამიხე ცნება

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.კომპიუტერული ტექნოლოგიები:

სკოლის მიერ მომზდებულ დფუენტებში წარმოდგენილა დწყებით საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო (მე-2-მე-6 კლსი). კურიკულუმი სრულდშეესაბამება საგნის ესგ-ის სტანდრტს. დაგეგმვის პროცესში გათალსწინებულა ცნებების დმკვიდრებისა და საკვანძო საკითხების შესწავლას მარუბულ სტრტგია. თუმცა ჩარჩოს რესურსებში რმდენიმე ბმულ არ მუშაობს. საგნის მასწავლებელან ინტერგიუს დრას ამ პრობლმასთან დკავშირებით, მასწავლებელმა აღნიშნა,რომ დაგეგმვის პროცესში ეს ბმულები აქტური იყო. საგნის მასწავლებელ ბევრ შემთხვევაში იყენებს ქარუფუნოგან მზ კომპლექსურდვალბებს, მაგალთად

<https://school.emis.ge/Computer-Science/Class-2/marks-2/1.html> <https://school.emis.ge/Computer-Science/Class-2/conditional-signs-1/21.html> <https://school.emis.ge/Computer-Science/Class-2/cycle-4/1.html>



<https://school.emis.ge/Computer-Science/Class-2/Creating-cycles-5/1.html> , <https://school.emis.ge/Computer-Science/Class-2/network-10/1.html>, მიუხედავადმისა, საგნის მასწავლებელს საინტერესო კონტენტმაგალოთუბი აქვს შექმნილი, ასევე ინტერესი დროს ნათლად ჩანდა, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესს გეგმავს მოსწავლეს საჭიროებისა და განვითარების გათვალისწინებით ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1. სახელმწიფო ენა:

სახელმწიფო ენის წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე განსაზღვრულია თემები, ცნებები/ქვეცნებები, ტექსტები და რესურსები, რომლებზე დაყრდნობითაც მოსწავლეები მასწავლებლების დახმარებით განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს. საფეხურის მიხედვით კურიკულუმები იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეულ კონტენტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში დასტურდება მოსწავლეთა საჭიროებების, წინარე ცოდნის გათვალისწინება. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, შესაძლებლობებს და ამაზე დაყრდნობით ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1. მათემატიკა:

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: იკითხება თემა, სამიზნე ცნებები და საკითხები. ასევე ზოგიერთი თემის გასწვრივ მითითებულია კომპლექსური დავალების იდეა, რაც იმას გულისხმობს, რომ სკოლა მომავალი წლიდან უკვე დაიწყებს მის განხორციელებას. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს წარმოდგენილი პირველი და მეორე კლასის კურიკულუმები. შეიმჩნევა უმნიშვნელო უზუსტობები კურიკულუმში (მაგ. მე-4 კლასის კურიკულუმში არ იყო აღნიშნული სამივე სამიზნე ცნება(მათ. მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა)). მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, ამ მიმართულებით დახვეწონ კურიკულუმები.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1. სპორტი:

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტი. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით, რომელთა ფლობა აუცილებელი პირობაა სწავლა-სწავლების შედეგების მისაღწევად და მათი დამუშავება ხდება სხვადასხვა საკითხისა თუ თემის კონტექსტში. კურიკულუმებში ჩაშენებული

განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების პირობა თემების მიხედვით არის განსაზღვრული, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე საკუთარ ცოდნას ადასტურებს შესწავლილ მასალასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მათი განვითარების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

საბაზო საფეხური:

1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში (ქიმის VIII და IX კლასები, ფიზიკისა და ბიოლოგიის VII, VIII და IX კლასების) არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ძირითადად სწორად არის შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით; ასევე რიგ შემთხვევაში არის ასახული კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. იგეგმება რესურსების ჩამონათვალის დაზუსტება სასწავლო წლის დაწყებამდე.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.საზოგადოებრივი მეცნიერებები:

გადმოგზავნილი დოკუმენტაცია მოიცავდა ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის კურიკულუმებს. მასალა ასახავდა სწავლა-სწავლების პროცესს, რომელსაც გეგმავს მასწავლებელი. დოკუმენტაცია შესასწორებელი იყო შემდეგი შინაარსით: ისტორიის კურიკულუმებში არ ჩანდა მასწავლებლის მიერ შერჩეული შუალედური მიზნები, საკითხები რომელ სამიზნე ცნებებს ამუშავებდა; ასევე არ იყო წარმოდგენილი მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმი. კათედრის წევრებს აღნიშნულთან დაკავშირებით მიეცათ რჩევები. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და მოგვანაწოდა კურიკულუმები შესაბამისი ჩასწორებებით. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ კურიკულუმების დახვეწის მზაობა. ასევე

გაითვალისწინებენ შემდეგ რჩევას: მე-8 კლასის კურიკულუმიდან გრძელვადიანი მიზნებიდან ამოღებული იქნას სამიზნე ცნება“ გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“, რადგან ის საგნობრივი სამიზნე ცნება არ არის და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მაკროცნებას წარმოადგენს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.უცხოური ენები:

უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის რუსული, გერმანული და ინგლისური ენების (VII-IX) კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, წინარე ცოდნასა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. კურიკულუმების დაგეგმვაში ინტეგრირებულია კომპლექსური დავალებები, რომლებშიც განსაზღვრულია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სავალდებულო თემების ფარგლებში. ჩანს, რომ უცხოური ენების პედაგოგებს აქვთ საკმარისი მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.ესთეტიკური აღზრდა:

სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვით ხელოვნებისა და მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შუალედრი(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმითშერჩეულ კომპლექსურების სრულ ნიმუშიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების დამატებით აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე(მოწოდებულია ხელოვნებაში), კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, თუმცა მუსიკაში მერვე და მეცხრე კლასებში ორი კომპლექსური დავალება არ არის მითითებულ შესაბამისი საკითხის ველში(შინაარსობრივი აცდენაა), ასევე მუსიკის საბაზო საფეხურის სამივე კლასში კურიკულუმებში როგორც კომპლექსურებთან მიმართებითარარის მითითებულ სამიზნე ცნება ბგერა და შესაბამისი ქვეცნებები

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.



1. სახელმწიფო ენა:

სახელმწიფო ენის წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში საბაზო საფეხურზე განსაზღვრულია თემები, ცნებები/ქვეცნებები, ტექსტები და რესურსები, რომლებზე დაყრდნობითაც მოსწავლეები მასწავლებლების დახმარებით განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს. საფეხურის მიხედვით კურიკულუმები იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეულ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში დასტურდება მოსწავლეთა საჭიროებების, წინარე ცოდნის გათვალისწინება. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, შესაძლებლობებს და ამაზე დაყრდნობით ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1. მათემატიკა:

სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია. თემები, საკითხები და ქვესაკითხები ჩაშლილია კურიკულუმში, თუმცა უმეტეს შემთხვევაში არ წერია სამიზნე ცნებები. ზოგიერთი თემის გასწვრივ მითითებულია კომპლექსური დავალებების იდეა. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მომავალში გააგრძელებენ მუშობას კურიკულუმის დახვეწაზე და შექმნიან სრულყოფილ კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1. სპორტი:

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტი. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით, რომელთა ფლობა აუცილებელი პირობაა სწავლა-სწავლების შედეგების მისაღწევად და მათი დამუშავება ხდება სხვადასხვა საკითხისა თუ თემის კონტექსტში. კურიკულუმებში ჩაშენებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების პირობა თემების მიხედვით არის განსაზღვრული, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე საკუთარ ცოდნას ადასტურებს შესწავლილ მასალასთან მიმართებით. შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მათი განვითარების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

საშუალო საფეხური:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოცხრილებში, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ძირითადად სწორად არის შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით; ასევე რიგ შემთხვევაში არის ასახული კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტმაგალითები, თუმცა რესურსების ჩამონათვალი დაზუსტდება სასწავლო წლის დაწყებამდე.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1. საზოგადოებრივი მეცნიერებები:

მოსწავლეზე ორიენტირებული სამუშაო პროცესი იკვეთება მე-10 კლასის შემდეგ საგნებში: ისტორია , გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში. კურიკულუმები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას, მაგ: ისტორიის კურიკულუმში ყველა სავალდებულო თემაში შერჩეული საკითხებით ჩანს, რომელი სამიზნე ცნებების დამუშავებას შეეწყობა ხელი, იგივე მიდგომაა მოქალაქეობაშიც, გეოგრაფიაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალება : „მწვანე ბიზნესი „საქართველოში ბიზნეს გეგმის შედგენა“.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1. უცხოური ენები:

უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე, შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნებად და მიმართულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის

და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე, უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული) კურიკულუმები მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.ესთეტიკური აღზრდა:

საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდა(მუსიკა, ხელოვნება) ისწავლება მხოლოდ პროექტული სწავლებით. და პროექტული სწავლებისთვის კურიკულუმში არ არის გათვალისწინებული, თუმცა სკოლამ წარმოადგინა მუსიკაში (მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში პროექტული სწავლება ისწავლებოდა მხოლოდ მუსიკის საგანში) მიმდინარე წელს განხორციელებული საშუალო საფეხურის პროექტის დეტალური აღწერილობა, პროექტში გაწერილი შუალედური(თემები, ეტაპები, დავალებები, საეტაპო აქტივობები და პროექტი) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე, პროექტი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.სახელმწიფო ენა:

სახელმწიფო ენის წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში საშუალო საფეხურზე განსაზღვრულია თემები, ცნებები/ქვეცნებები, ტექსტები და რესურსები, რომლებზე დაყრდნობითაც მოსწავლეები მასწავლებლების დახმარებით განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს. საფეხურის მიხედვით კურიკულუმები იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეულ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში დასტურდება მოსწავლეთა საჭიროებების, წინარე ცოდნის გათვალისწინება. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, შესაძლებლობებს და ამაზე დაყრდნობით ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.მათემატიკა:

საშუალო საფეხურის კურიკულუმში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია. თემები, საკითხები და ქვესაკითხები ჩამოლილია კურიკულუმში, თუმცა უმეტეს შემთხვევაში არ წერია სამიზნე ცნებები. ზოგიერთი თემის გასწვრივ

მითითებულია კომპლექსური დავალებების იდეა. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მომავალში გააგრძელებენ მუშობას კურიკულუმის დახვეწაზე და შექმნიან სრულყოფილ კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

1.სპორტი:

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტი. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით, რომელთა ფლობა აუცილებელი პირობაა სწავლა- სწავლების შედეგების მისაღწევად და მათი დამუშავება ხდება სხვადასხვა საკითხისა თუ თემის კონტექსტში. კურიკულუმებში ჩაშენებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების პირობა თემების მიხედვით არის განსაზღვრული, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე საკუთარ ცოდნას ადასტურებს შესწავლილ მასალასთან მიმართებით. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მათი განვითარების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. .დაწყებითი საფეხური:

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში, სრულყოფილად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები (არა ყველა), თემების ფარგლებში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში

ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რომლებიც წარმოაჩენს თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დაწყებითი საფეხურის ზემოთ აღნიშნული საგნების ფარგლებში. კურიკულუმები აჩვენებს გრძელვადიანი მიზნების დახმარებით გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების გზას. შერჩეული კომპლექსური დავალებები დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს ეხმარება იმ იდეის გააზრებაში, რომელიც სასწავლო მასალით არის განსაზღვრული. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ დავალებებზე, მოსწავლეების მიერ შექმნილ შემოქმედებით პროდუქტზე, ასევე ცვლილებებზე, რომლებიც კომპლექსური დავალების პირობაში პროდუქტის თვალსაზრისით განხორციელეს. კათედრის წევრებს მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილი აქვთ შეარჩიონ კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს სამიზნე ცნებების გააზრებას გაუადვილებს და დააკმაყოფილებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ხუთ მთავარ პარადიგმას.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.უცხოური ენები:

უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის (I- VI - ინგლისური, გერმანული და რუსული ენების)კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, რომ მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნისა და გლობალურ ფუნქციური უნარების გასავითარებლად (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა).

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.ესთეტიკური აღზრდა:

სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, კურიკულუმით შერჩეული კომპლექსური დავალებების ინსტრუქციითა და განხორციელების ეტაპების აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე(მოწოდებულია ხელოვნებაში), რომლებშიც გამოკვეთილია, თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს,თუმცა სახვითი ხელოვნებასა და მუსიკაში არ არის გაწერილი I და II კლასების კურიკულუმები; ასევე სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის III,IV და VI კლასებში თემატური ბლოკების ფარგლებში არ მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.კომპიუტერული ტექნოლოგიები:

საგნის კურიკულუმში სამიზნე ცნებები თანხვედრაშია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმასთან, უკავშირდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნებს , ცნებების გააზრების , გაფართოებისა და დამკვიდრების პროცესში გამოყენებულია მართებული სტრატეგია : აგებულია ასაკის , წინარე ცოდნისა და გამოცდილების კონტექსტის გათვალისწინებით . შედგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს ძირითადი ფუნქციური უნარების განვითარებას . მაგალითისთვის - ინტერვიუს დროს მასწავლებელმა წარმოადგინა კომპლექსური დავალება ,რომელშიც ერთ-ერთი აქტივობაა ჩაის მომზადების ალგორითმის შექმნა , ამას მოსწავლეები ქმნიან ინდივიდუალურად და შემდეგ მოსაზრებებს წყვილებში უცვლიან ერთმანეთს და წინასწარ შედგენილი კრიტერიუმებით აფასებენ . ეს აქტივობა ხელს უწყობს გუნდურობის და თანამშრომლობის განცდის , გამოცდილების გაზიარების და კრიტიკული აზროვნების განვითარებას მოსწავლეებში .

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.სახელმწიფო ენა:

სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში ყველგან არის გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებით.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.მათემატიკა:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი და საბაზოს კურიკულუმში იყო ახალი სტილით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი, სადაც გათვალისწინებულია ყველა თემა, საკითხი, სამიზნე ცნება და ა.შ აქედან გამომდინარე, კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.სპორტი:

სასკოლო კურიკულუმების შემუშავების დროს მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს საგნის გრძელვადიანი მიზნები. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან და ასევე მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, ხოლო კურიკულუმებში გათვალისწინებული თემები, საკითხები, შეთავაზებული რესურსები, ბმულები, შეფასების ინსტრუმენტები, განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ფესტივალს, პროექტულ სწავლებას გულისხმობს, მოსწავლეებს ჯგუფური, გუნდური, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც თავისთავად ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებასაც იძლევა.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

საბაზო საფეხური:

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში, სრულყოფილად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები (არა ყველა), თემებში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები:

საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე. ჩანს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ საბაზო საფეხურზე ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის ფარგლებში. გასაუბრებისას ისტორიის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლის პროცესში შეარჩევს შესაბამის კომპლექსურ დავალებებს, ხოლო გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, (მაგ: კვლევის ანგარიშის საშუალებით წარმოაჩინონ, რატომ ჩამოყალიბდა უდაბნო საჰარა) ეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს სასწავლო მასალის იდეა, განვითაროს გლობალურ-ფუნქციური უნარები.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.უცხოური ენები:

ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ გამოკვეთილი 6 ფუნქციურ კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა) განვითარებაზეა მიმართული საბაზო

საფეხურის (VII-IX) უცხოური ენების კურიკულუმები.კომპლექსური ტიპის დავალებები, მათი განხორციელების ეტაპები, აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეების ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. იკვეთება სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სასწავლო პროექტებში და სხვა არაფორმალურ აქტივობებში, რაც, თავის მხრივ, კიდევ მეტად ავითარებს ზემოთ აღნიშნულ უნარებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.ესთეტიკური აღზრდა:

სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული კომპლექსური დავალებების ინსტრუქციითა და განხორციელების ეტაპების აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე(მოწოდებულია ხელოვნებაში), სადაც გამოკვეთილია, თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, თუმცა მუსიკაში მერვე და მეცხრე კლასებში ორი კომპლექსური დავალება არ არის მითითებული შესაბამისი საკითხის ველში(შინაარსობრივი აცდენაა), ასევე მუსიკის საბაზო საფეხურის სამივე კლასში კურიკულუმებში რიგ კომპლექსურებთან მიმართებით არ არის მითითებული სამიზნე ცნება ბგერა და შესაბამისი ქვეცნებები.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.სახელმწიფო ენა:

სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში ყველგან არის გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებით.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.მათემატიკა:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი და საბაზოს კურიკულუმი არის ახალი სტილით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი, რომლებშიც გათვალისწინებულია ყველა თემა, საკითხი, სამიზნე ცნება და ა.შ აქედან გამომდინარე, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.სპორტი:

წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს ქმნის. მასში გაწერილია გრძელვადიანი მიზნები, შუალედური მიზნები, რომლებიც ამ ეტაპზე კომპლექსური დავალების პირობითაა წარმოდგენილი და მოსწავლისთვის საინტერესო შიდა სასკოლო თუ საკლასო ფესტივალებს ითვალისწინებს. ხოლო თემის ფარგლებში გაწერილი საკითხები თუ შეთავაზებული რესურსები მოსწავლის პიროვნულ განვითარებას განაპირობებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

საშუალო საფეხური:

2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში სრულყოფილად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები (არა ყველა), თემებში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში

ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები:

მე-10 კლასის ისტორიის, მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია ისტორიისა და მოქალაქეობის სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ საშუალო საფეხურზე ზემოთ აღნიშნული საგნების ფარგლებში. გეოგრაფიის კურიკულუმში ჩანს სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, მასწავლებლის მიერ შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალება: “მწვანე ბიზნესი საქართველოში”, შესაბამისი რესურსები, რომელიც ასახავს გზას, თუ როგორ მიდიან გრძელვადიან მიზნებამდე, გლობალურ ფუნქციური უნარების განსავითარებლად.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.უცხოური ენები:

წარმოდგენილი კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ გამოკვეთილი 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია,შემოქმედებითობა,ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა) ფორმირებაზეა აქცენტირებული.

კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, რომ მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნისა და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, უზრუნველყოფენ მოსწავლის პიროვნულ ზრდას.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.ესთეტიკური აღზრდა:



საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდა(მუსიკა, ხელოვნება) ისწავლება მხოლოდ პროექტული სწავლებით და პროექტული სწავლებისთვის კურიკულუმი არ არის გათვალისწინებული, თუმცა სკოლამ წარმოადგინა მუსიკაში (მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში პროექტული სწავლება ისწავლებოდა მხოლოდ მუსიკის საგანში) მიმდინარე წელს განხორციელებული საშუალო საფეხურის პროექტის დეტალური აღწერილობა, პროექტში გაწერილი შუალედური(თემები, ეტაპები, დავალებები,საეტაპო აქტივობები და პროექტი) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე, პროექტი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.სახელმწიფო ენა:

სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში ყველგან არის გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებით.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.მათემატიკა:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი და საბაზოს კურიკულუმი იყო ახალი სტილით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი, სადაც გათვალისწინებულია ყველა თემა, საკითხი, სამიზნე ცნება და ა.შ აქედან გამომდინარე, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

2.სპორტი:

